შეტყობინება მეხუთე

სწავლებათა ქარების სიღმისეული ფაქტორი მათი ბოროტი განზრახვისათვის

ადგილები წერილიდან: ეფეს. 4:13-15; საქმე. 2:42; 1 ტიმ. 1:3-4; ტიტ. 1:9; 1 კორ. 1:2; 4:17; 12:12-13, 27

I. მოციქულთა სწავლება არის ერთადერთი და ჯანსაღი სწავლება ღმერთის მარადიული სახლმშენებლობისა – საქმე 2:42; 1 ტიმ. 1:3-4; 6:3; ტიტ. 1:9; 2:1:

ა. მოციქულთა სწავლება არის ახალი აღთქმის მთლიანი სწავლება როგორც ღმერთის ლაპარაკისა ძეში მისი ახალი აღთქმისეული ხალხისათვის – ებრ. 1:1-2.

ბ. მოციქულთა სწავლება არის უნიკალური, ღვთაებრივი გამოცხადება ღმერთის ახალი აღთქმისეული სახლმშენებლობისა ღმერთის განკაცებიდან ახალი იერუსალიმის დასრულებამდე – იოანე 1:14; გამოცხ. 21:2.

გ. მოციქულთა სწავლება არის დამჭერი ფაქტორი ერთ მშვინვიერებისა, რომელიც გვიბიძგებს ჩვენ, რომ გვქონდეს ერთი გული, ერთი გზა, და ერთი მიზანი – სამქე. 1:14; 2:42ა, 46ა; იერ. 32:39.

დ. ჩვენ უნდა ვიყოთ ისინი, ვინც „ჩაჭიდებულნი არიან ერთგულ სიტყვას, რომელიც არის მოციქულთა სწავლების თანახმად“ – ტიტე 1:9:

1. ეკლესიები დაფუძნდა მოციქულთა სწავლების თანახმად და მიჰყვებოდა მათ სწავლებას, და ეკლესიებში წესრიგის შენარჩუნება ხდებოდა ერთგული სიტყვის მეშვეობით, რომელიც მოცემული იყო მოციქულთა სწავლების თანახმად.
2. ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ ის, რაც შეესაბამება მოციქულთა ჯანსაღ სწავლებას, ღმერთის სახლმშენებლობის სწავლებას – 2:1, 7-8; 1 ტიმ. 1:4.

ე. ნებისმიერი სწავლება, რომელიც განსხვავდებოდა მოციქულთა სწავლებისაგან არ იყო დაშვებული მოციქულების მიერ; „განსხვავებულის“ სწავლება აკრძალული იყო – საქმე 2:42; 1 ტიმ. 1:3-4:

1. *განსხვავებული სწავლებები* მიუთითებს სწავლებებზე, რომლებიც არ არის ერთ ხაზზე ღმერთის სახლმშენებლობასთან – 6:3.
2. უწესრიგობა ეკლესიაში გამოწვეულია ძირითადად გადახვევით მოციქულთა სწავლებიდან – საქმე. 2:42:
   ა) იმისთვის, რომ შევეწინააღმდეგოთ ამას, ჩვენ უნდა ჩავეჭიდოთ ერთგულ სიტყვას და ვასწალოთ ეკლესიებში მოციქულთა სწავლების თანახმად – ტიტ. 1:9.
   ბ) სიბნელისა და არეულობის სიტუაციაში, ჩვენ უნდა ჩავეჭიდოთ გამაბრწყინებელ და მომწესრიგებელ სიტყვას ახალ აღთქმაში – მოციქულთა სწავლებას –საქმე. 2:42
3. ჩვენ უნდა თავი დავაღწიოთ განსხვავებულ სწავლებებს და ყურადღება გავამახვილოთ ღმერთის სახლმშენებლბაზე ქრისტესა და ეკლესიის შესახებ – 1 ტიმ. 1:3-4; ეფეს. 3:9; 5:32.

ვ. მოციქული პავლე ასწავლიდა ერთსა და იმავეს ყველა ეკლესიაში; ჩვენც ასევე უნდა ვასწავლოთ იგივე ყველა ეკლესიაში ყველა ქვეყანაში მთელ დედამიწაზე – 1 კორ. 4:17; 7:17; შდრ. კოლ. 4:16.

ზ. მნიშვნელოვანი საკითხი მოციქულთა მსახურების ჯანსაღი სწავლების ეხება გამზადებულ სამერთიან ღმერთს, რათა დაარიგოს თავისი თავი როგორც ყოვლისმომცველი მაცოცხლებელი სული თავის ამორჩეულებში, რათა ისინი შევიდნენ ორგანულ კავშირში, რომ მიიღონ ღვთაებრივი გადმოღვრა და ამის მეშვეობით გახდნენ ღმერთის ძეები და ქრისტეს ასოები; შედეგად, ისინი გახდებიან ქრისტეს სხეული, რათა გამოხატონ ქრისტე, ის, ვისშიც მკვიდრობს ღმერთის სისავსე –1 კორ. 15:45ბ; 6:17; 12:12-13, 27.

თ. ყველა სწავლება, რომელიც განსხვავდება ღმერთის ახალი აღთქმისეული სახლმშენებლობის უნიკალური გამოცხადებისაგან მოციქულების მიერ ითვლება სწავლების ქარებად – ეფეს. 4:14.

II. როგორც სხეულის ასოები, ჩვენ აღარ უნდა ვიყოთ „ბალღები, რომელთაც არყევს და წარიტაცებს სწავლების ყოველგვარი ქარი ადამიანთა ცბიერებით, ცდუნების მზაკვრული ხელოვნებით“ – მუხ. 14:

ა. *ბალღები* მიუთითებს იმ მოწმუნეებზე, ვინც არიან ახალგაზრდები ქრისტეში, აკლიათ სიმწიფე სიცოცხლეში – 1 კორ. 3:1; ეფეს. 4:13, 15.

ბ. ტალღებს აღძრავს სხვადასხვა სწავლების, დოქტრინების, კონცეფციებისა და მოსაზრებების ქარი, რომელიც სატანამ გამოგზავნა, რათა ეცდუნებინა მორწმუნეები და ჩამოეშორებინა ისინი ქრისტესა და ეკლესიისაგან – 1 ტიმ. 1:3-4; ეფეს. 4:14:

1. ქრისტეში ჩვილებისათვის ძნელია ამის გარჩევა; ერთადერთი გზა, რომ რომ გავექცეთ ტალღებს, რომებიც აღიძვრება სწავლებათა ქარებით არის სიცოცხეში გაზრდა, და უსაფრთხო გზა იმისათვის, რომ გავიზარდოთ სიცოცხლეში არის ის, რომ დავრჩეთ სათანადო ეკლესიურ ცხოვრებაში ქრისტეთი და ეკლესიით როგორც პირადი დაცვით – მუხ. 13-15.
2. ნებისმიერი სწავლება, სულიერიც კი, რომელიც ჩამოაშორებს მორწმუნეებს ქრისტესა და ეკლესიისაგან არის ქარი, რომელიც მოაშორებს მათ ღმერთის მარადიულ ჩანაფიქრს – მუხ. 14.

გ. ჩვენ უნდა დავინახოთ სიღრმისეული ფაქტორი სწავლებების ქარებისა – მუხ. 14:

1. სიღრმისეული ფაქტორი არის დაფარული ფაქტორი, ფაქტორი, რომელიც არ არის აშკარა.
2. იმისათვის, რომ დავინახოთ ეს სიღრმისეული ფაქტორი, ჩვენ გვჭირდება სათანადო და მახვილი გაგება, რათა შევძლოთ ჩავწვდეთ მთელ სიტუაციას.
3. ეს სწავლებები განსხვავდება ახალი აღთქმის სწავლებისაგან ღმერთის სახლმშენებლობის სწავლების შესახებ ქრისტეს სხეულის ასაშენებლად – 1 ტიმ. 1:3-4; 6:3:

ა) აშკარაა, რომ სწავლების ყველა ქარი არის კარგი; მაგრამ, სწავლების ქარებში, სიღრმისეულად, არის რაღაც განსხვავებული მოციქულთა სწავლებისაგან და არ არის კარგი.

ბ) სწავლები ქარი ანგრევს მორწმუნეთა რწმენას და ანადგურებს ეკლესიურ ცხოვრებას – 2 ტიმ. 2:18.

დ. სწავლებები რომელიც ხდება ქარები, იტაცებენ მორწმუნეებს ქრისტესა და ეკლესიის ცენტრალური ხაზიდან, არის მოტყუებები გამოწვეული სატანის მიერ თავის ცბიერებაში, ადამიანურ მოხერხებულობასთან ერთად, იმ მიზნით, რომ დააზიანოს ღმერთის მარადიული სახლმშენებლობა, რაც არის ის, რომ ააშენოს ქრისტეს სხეული – ეფეს. 1:10; 3:9-11; 4:14, 16:

1. დამყოფი სწავლებები ორგანიზებული და სისტემატიზირებულია სატანის მიერ, რომ გამოიწვიოს სერიოზული შეცდომა და ამგვარად დააზიანოს სხეულის სიცოცხლის ერთობა – მუხ. 3.
2. მოხერხებულობა არის ადამიანისაგან, მაგრამ შეცდომების სისტემა არის სატანისაგან და ის დაკავშირებულია მაცდურ სწავლებებთან, რომლებიც გამოგონებულია ბოროტის მიერ, რათა ჩამოაშოროს წმიდანები ქრისტეს და ეკლესიურ ცხოვრებას – მუხ. 14; 5:32.

ე. სწავლებათა ქარების განზრახვა – მტრის სატანის ბოროტი განზრახვა – არის ქრისტეს ორგანული სხეულის აშენებისათვის ხელის შეშლა და ქრისტეს ორგანული სხეულის ასოების დაყოფა, რათა გამოიწვიოს უსასრულო დაყოფები ნაცვლად ქრისტეს სხეულის ერთობის შენარჩუნებისა საყვარულსა და სიკეთეში – 1 კორ. 1:10-11; იუდა 19.

ვ. მცდარი სწავლება ადგილობრივ ეკლესიებში აბსოლუტური ავტონომიის შესახებ შემოიპარა უფლის აღდგენაში:

1. იმის სწავლება, რომ ადგილობრივი ეკლესიები არის აბსოლუტურად ავტონომიური არის ქრისტეს სხეულის დაყოფა – რომ. 12:5; 16:17.
2. სწავლებამ ავტონომიის შესახებ გახრწნა, შეცდომაში შეიყვანა და მოატყუა ქრისტიანები და წარმოქმნა მრავალი დაყოფა – იუდა 19.
3. ეკლესია არის ქრისტეს სხეული, და როგორც ქრისტეს სხეული, ეკლესიის ვერც ერთი ნაწილი ვერ იქნება ავტონომიური – 1 კორ. 1:2; 12:12-13.
4. ადგილობრივი ეკლესიები არის ქრისტეს სხეულის გამოხატულებისათვის; ისინი არიან ქრისტეს სხეულის გამოვლინება სხვადასხვა ადგილებში – 1:2; 12:27.
5. ჩვენს წარმოდგენაში სხეული უნდა იყოს პირველ ადგილზე, ხოლო ადგილობრივი ეკლესიები მეორე ადგილზე – ეფეს. 2:21-22.
6. თუ ჩვენ ვიცნობთ სხეულს და შევიცნობთ სხეულს, ჩვენ გავაცნობიერებთ, რომ ეკლესიას როგორც ქრისტეს ორგანულ სხეულს არაფერი საერთო არა აქვს ავტონომიასთან.

© 2020 Living Stream Ministry